№ 931.
№ 2.
F 507. / 2
ქართველი ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადოების გამოცემა.

ხაგაური.

ხალმაწვილთა მოთხრობა,

რუსულიდან გადმოტანილი

ანასტასია თუმანიშვილისაგან.



თბილისი. 1831.

სტამბა გ. ჩარკვიანისა, ბარონ ქ. № 17.

899.962.1-32

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა.

ხაკაური.

საუმაწვილო ქოთხრობა, რუსულიდან გადმოღებული

ანასტასია ხუმანიშვილისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი.
გრ. ჩარკვიანის სტამბა.
1881.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го мая 1881 г.

FS 931

49 8. (18×11), 53.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საკაური.

როგორ იპოვეს საკაური.

— დედა, დედა! გესმის, რაღაცა კნავის? წამო, დედაჯან, ვნახოთ რა არი?...

ამ რიგად ეძახდა პატარა ნუცა ბაღიდამ თავის დედას, რომელიც ოჯდა ფანჯარასთან და წიგნს კითხულობდა. ნუცას დედა, ანნა წამოდგა და გაეიდა ბაღში.

— აბა, სადა კნავის? ჰკითხა დედამ.

— აი, იქ, დედილო, ღობესთან...

მართლადაც ღობიდგან მოისმოდა რაღაც საცოდავი ჩხაეილი და ნუცა მაშინვე იქით მხარეს ეცა. ხშირს ლიხში, პატარა რეის ნაპირზე ცუცუნებდა და კნაოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაწაწა, ჩალის ფერი კნუტი. იმას ეს ბალნა-ხები სწორედ ტყედ ეჩვენებოდა. წამ-და-უწუმ წაიბორძიკებდა თავისი სუსტი, ვატარა ფესვ-ებით, შიშით აქეთ-იქით აჭყეტდა მოლურჯო თვალებს და უნებურად წაწყდებოდა ცხვი-რით ხან ჭინჭარს, ხან გამხმარ შტოებს, რო-მელნიც შლანგში აქა-იქ ეყარნენ.

— დედაჯან, რა საწყალი ციცუნაა! წა-მოიძახა ნუცამ,—წავიყვანოთ სახლში, თორემ ამ ვატარა რუში ჩავარდება.

ბავშვი დაიხარა კნუტის ასაყვანად, რად-გან იცოდა, რომ დედა უარს არ ეტყოდა. მაგ-რამ ვერა გახდა რა! როცა ნუცამ გაშალა ხელი ასაყვანად, ვატარა ცირდალი აიბურძგ-ლა, ჩამოუშვა ყურები და ფრუტუნით გაუ-სხლტა ხელიდამ.

— დედაჯან, რა ვქნა, როგორ დავიჭირო? ჰკითხა ნუცამ დედას შეწუხებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დამაცა, ერთი მეცა ვცადო, სთქვა ანნამ, დასწვდა და მარდათ სტაცა ხელი ჰატარა შეუპოვარს კნუტს. ფისუა კრუტუნებდა, კნაოდა და ხელიდამ სხლტებოდა; ანნამ თავის ცხვირ-სახოცში წაახვია და ოთახში შეიტანა. ნუცა ხტუნვით ვვერდით მოსდევდა დედას და ძალ-ძალ ჩასცქეროდა ცხვირ-სახოცში. ოთახში კარი და ფანჯარა მიხურეს და ძირს ისე დასვეს ახალი სტუმარი. ის ძაშინვე კუთხეში მიიმალა და იქიდამ ხამად ჭსინჯავდა სუეველაფერს.

— ნუცა, წადი საშზარეულოდამ მოუტა რძე, ვაჯამოთ, უეჭველია, მშიერი იქნება.

ნუცა მაშინვე გაექანა საშზარეულოსაკენ, მოიტანა სავსე ლამბაქი რძე და დაუდგა ფისუას წინ. იმას ჯერ ბალანი აეშალა, მაგრამ როცა ნუცა მოჭშორდა, რძის სუნმა დაჭსძლია: სიფრთხილით და შორიდანვე კისრის წაწევით მიუახლოვდა რძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედაჯან, უფურე, უფურე, როგორა სლაპაძს!... ჩურჩულებდა ბატარა ქალი.

ნუცა მოშორებით ჩაცუცქდა და სიამოვნებით თვალს ადევნებდა კნუტის ჭამას, ის რომ მალ-მალ გამოჭყოფდა თავის ბატარა წითელ ენას და ისევ მაშინვე შეჭყოფდა რძეში ამოვსებულს; რო-გორ ბჟუტავდა თვალებს, ჩქარობდა, სული უგუბდებოდა, ცხვირს აცქმინებდა და მერე ისევ მოჭყუბოდა გემრიელად სლაპვას. რამდენჯერ-მე უნებლივ ტოტები დაუსველდა რძეში და მაშინ ის ისე სასაცილოდ იქნევდა თავის სველ თათებს, რომ ნუცა ძლივ იმაგრებდა სიცილს.

— დედა, რა სასაცილო რამ არი! რა ლამა-ზია! ჩურჩულით ამბობდა ნუცა და დიდი სი-ხარულით ხელებს იფშვნეტდა და თითონაც ცინდალივით იბუზებოდა.

ფისუა ბოლოს დროს გაძღა, გაიშვირა ჯერ წინა ტოტები, მერე უკანა, სან ილოკებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, მერე წაწვა და მაშინვე ჩასთვლიმა. ნუ-
ცას ძალიან უნდოდა ხელში აეყვანა.

— დედაჯან, მანდ ხომ ხმელზე წევს,
ხელში ავიყვან და ისე დავაძინებ!

— არა, ნუცავ, სჯობს თავი დაანებო;
დეე, დეეჩვიოს ჩვენთან ყოფნას და მაშინ თი-
თონვე მოვა ხოლმე, თორემ ეხლა შეეშინდება
და გაგვექცევა.

— მაშ ერთი ახლო მაინც ვნახო, მანამ
სძინავს, და ნუცა წენარად მიუახლოვდა იმას.

ფისუას ჰქონდა ჰატარა ცქვიტი ყურები,
რომელთაც დაუყენებლივ აწკაპუნებდა, მშვენი-
ერი ჰაწაწა მრგვალი ჰირი, თეთრიყე ჰაწაწა
ცხვირით და გძელი ულვაშებით, ამასთანავე
კისერი, გული და მუცელი თეთრიყე ჰქონდა.
ძილში ისე გძლად გაიჭიმა, რომ ფეხები და
კუდი კარგად გამოუჩნდა. ნუცამ დაუნახა ფე-
ხებზე კლანჭები და კლანჭების ქვეშ ბალიში-
ვით რბილი, უბალნო ფეხის-გულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედა, რა დავარქვა ამას? რა მშვენიერი და ჭრელია, თითქო დახატული იყოს!

— მაშ „ხატაური“ დაარქვი, ეგ სახელი მოუხდება.

— აგრე იყოს, ამის სახელი „ხატაური“ იქნება, სთქვა გადაწყვეტით ნუცამ.

აქ «ხატაური» არ იხსნება.

ნუცა და იმის დედა ზაფხულში სოფელში სცხოვრობდენ; ამათ მარტო ორი ოთახი ეჭირათ და ეზოშიაც—საამხარეულო; მაგრამ ბაღი კი სახლის გარშემო ჩინებული ჰქონდათ—დიდრონი ცაცხვის ხეები სასიამოვნოდ აჩრდილებდნენ ბილიკებს. ნუცა ამ ბაღში თავისუფლად და მსიარულად დარბოდა; გაიქცევოდა მოშორებით ხშირს ხეებში და იქიდამ, თითქო ნამდვილ ტყეში იყო, ხმას აძლევდა დედას, ან არა და საცა ნახავდა მაღლად ამოსულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალახს, მიიმალებოდა და ელოდა დედას; როცა ის მოუახლოვდებოდა, სიცილით გამოუვარდებოდა და კისერზედ ჩამოეკიდებოდა ხოლმე.

— აი შე ცელქო! ეტყოდა დედა,—კიდევ დამეალე!

ნუცა კი ისე გამხიარულდებოდა, ისე, რომ დაიწყებდა ტუნვას, სიცილს და ჩიტივით ჭიკჭიკს.

ზამთრობით ნუცას დედა ბევრს შრომობდა, იმასთან მოდიოდნენ ჰატარა უმაწვილები სასწავლებლად და დედას ნუცას იშვიათად ხედავდა. ზაფხულობით კი დედას არა ჭშორდებოდა.

— ესლა ჩემი დროა დავისვენო, იტყოდა მოხუცი გამდელი თინა: მთელი დღე ჩემ გაზდილს თვალით არა ვხედავ.

ზამთარში ხანდისხან თინა სტუქსავდა კიდეც ნუცას, როცა ის ჩაცივდებოდა და მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვენებას არ აძლევდა; ეხლა კი თინას თით-ქო სწყინდა, რადგან ნუცა სულ დედას ეკლე-ბოდა და ამას კი ზედაც ადარ უყურებდა.

— ეხლა, შენ, ქალბატონო, საკუთრივ დე-დისა სარ, იტყოდა დალმენჯით თინა და სა-თვალებს გაისწორებდა.

— ჩემო თინავ, ჩემო საყვარელო, ხომ შენც მიყვარხარ, ეტყოდა ნუცა და გადაეხვე-ოდა,—მაგრამ დედა კი ძალიან, ძალიან მი-ყვარს!..

— კარგი, კარგი, ჩემი დროც მოვა, ზამ-თარი დადგეს, მაშინ გამდელიც კარგი იქნება, უპასუხებდა თინა და თავზე ხელს გადუსვამდა.

დედას ეცინებოდა, როცა ნუცა უამბობდა ხოლმე, რომ თინა ჯავრობსო, სულ დედას-თან რათა სარო.

მაშინ დედა ეტყოდა ხოლმე: — თინა გე-ხუმრება, თორემ, რაში უნდიხარ მაგისთანა ცელქი? უშენოდ უფრო მოსვენებით არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ნუცამ კარგად იცოდა, რომ დედა მხოლოდ სუმრობდა და რომ ორივეს, დედასაც და თინასაც, ის გაგიჟებით უყვარდათ.

ხატური გაეჩვია.

ხატური მალე გაეჩვია და ალარ იმალებოდა; ორი, სამი დღის შემდეგ თითონ მიირბენდა ხოლმე ნუცასთან, როცა ის დ:უძახებდა: კუდს გაიბზეკდა და საჩქაროდ გაირბენდა ნუცამდინ, თათებს დაუწყობდა ხელებზე, უსუნებდა და მერე ზურგზე გადაგორდებოდა; სან იპოვიდა კუთხეში სადმე მიგდებულს გორგალს, ან ჰრობკას და გააგორ-გამოაგორებდა; ნუცა უყურებდა და სიამოვნებით ველარა ძღებოდა. ხატური რომ დაიღალებოდა, წაწვებოდა, ნუცა ფრთხილად აიყვანდა ხელში და მიჯდებოდა კუთხეში ტახტზე—ფისუაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოიკვლდა თათებს, დახუჭავდა თვალებს და გაბაბადა გუთავებელს ხრუტუნს. ნუცა ცდილობდა გაეგო რას ხრუტუნებდა ციცუა, კარგა ეურს უგდებდა, მაგრამ კატის ენა აგრე ადვილი გასაგები არ იყო.

— ჩემო ხატაურო,—იტყოდა ნუცა—რასა მღერი, გამაგებინე? და უწყობდა წვალებას თავის მძინარე მეგობარს.

ხატაური უკმაყოფილოდ ნამძინარევი შეხედავდა ნუცას თვალების ბჟუტვით, გასწორდებოდა და თავის ხრუტუნს შესწვეტდა. ნუცას ეგონა, რომ ფისუას ეწყინაო და ალერსით ეადუსვამდა ხელსა.

ნუცამ ხელახლად დაუწყო ლაპარაკი ციცას:

— ჩემო ხატაურო, იმღერე შენებურად, გეთაყვა, აღარ დაგიშლი, იმღერე, ფისო!..

ხატაურმა გააგრძელა თავის ხრუტუნი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძილში კუდის ქნევაც ააკოლა. სადილის, საუზმის და ჩაის დროს ფისო ნუცას გვერდით უჯდა. თუ ნუცას დააკვიწდებოდა და არას მისცემდა, მაშინ ციცა თათს დაჭერამდა, ან არა თითონვე წამოიწევდა და აცლიდა თეფშიდამ ნაჭერს.

— აი, დედა, უეურე, სატაურმა თეფშიდამ ხორცი თითონვე ამართვა.

— დღეს ეგ შენ სრულებით დაგავიწდა, ნუცა, და თავის თავზე თითონ იზრუნა.

— უეურე, დედა, კიდევ როგორ ელამუნება?..

ნუცა თითონვე ფრთხილადა სდებს თეფშის ნაპირზე ხორცის ნაჭერს. ფისოც უკანა ფეხებზე დადგება, წინას გაიშვერს, მოიტაცებს ხორცს და ბღლამანს გაადენს. როცა ნუცა ბალშია, სატაურიც უკან დასდევს, ბუზებს იჭერს, ჭატარა ფრინველებს სდევნის და სწავლობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეებზე ბობღვას; ნუცა კი გამდელიეთ ეურს უგდებს.

— ჩემო სატაურო, იქით ნუ წახვალ, თორემ რეში ჩავარდები, უეეირის ნუცა;—ფისო, ნუ ახვალ მაგ ხეზე, თორემ ჩამოვარდები და ტოტებს იტკენ. აი, აი, რა ცელქი ეოფილხარ, ჩემო ციცო, უკან რას დასდევ მაგ ჩიტებს? მაგ საწულებსაც ხომ ჭამა უნდათ და შენ კი ეშლი...

ბასუხად ფისეა ეუბნება თავის გამდელს: „მიაუ-მიაუ", ეთეოდ ეს იმათ ენაზე ჭნიშნავს „აღარა ვიქო", მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ციცეა მოჭეეება ხოლმე ისევ თავის ეშმაკობას და ბოლოს ისე გააცინებს ნუცას, რომ ის ივიწეებს ჯავრობას და გარბის დედასთან, რომ უამბოს, თუ რა ჭკვიანია იმისი სატაური.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუცა და ხატაური ერთად სწავლობენ.

ნუცა მაისში შვიდი წლისა შესრულდა და დედა დაჭირდა, ზაფხულში წერა-კითხვას გასწავლიო.

ნუცა ისე გაართო ფისუახ ჰოვნამ და იმისმა წრთვნამ, რომ დაავიწყდა მოეგონებინა დედისთვის დაპირება; თიბათვის ორი კვირაც გავიდა და დედა კი თვის დამდეგსვე დაპირებული იყო დაეწყებინა ნუცასთვის სწავლა.

— დედა, როდისლა დავიწყებთ სწავლას? ჰკითხა ერთს დილას ნუცამ.

— ზამთარშიაც მოვესწრობით, ნუცაჯან. შენ ესლა ისე გართული ხარ შენი ხატაურით, რომ არ მინდა დაგიშალო.

— არა, დედაჯან, ხატაური მიშველის სწავლას, ხომ იცი, ის რა ჭკვიანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ის შენ შემწედ არ გამოგადგება, შვილო, უთხრა სიცილით დედამ.

— აი, ნასავ, დედაჯან, ერთად როგორ ბეჯითად ვისწავლით.

— არა, ნუცაჯან, მგონია სჯობდეს, რომ სატაური არ გაურიოთ ამ საქმეში, თორემ შენ მაგითი გაერთვები და სწავლა კი გაგიმნელდება.

— დედაჯან, ჩემო საყვარელო, გეხვეწები, მიეცი ნება სატაურს ჩემთან ერთად ისწავლოს, მე არ გავერთვები...

— შე ტუტუცო, სატაური ხომ კატაა, ადამიანის ენა არ ესმის, რა უნდა ისწავლოს?

— როგორ თუ არ ესმის! წეენით უთხრა ნუცამ,—რასაც მე ვიტყვი, სუეველა ესმის!

ნუცა ვერა გზით ვერ დააჯერა დედამ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი ღონე არა ჰქონდა, უნდა მიელო ასალი შეგირდიც.

სადილის წინ ნუცა და ხატაური დიდი თავმოწონებით მოუსხდნენ დედას და დაიწყეს სწავლა. ხატაური იჯდა სტოლზე კუდ გაშლილი და ისე დარბაისლურად იუურებოდა, თითქო მართლა აპირებს ეურის კდებასაო. იმან დასუნა წიგნს, ქაღალდს, საწერ-კალამს, თათებით სინჯავდა სუეველას. ნუცა ჩუმ-ჩუმად სიამოვნებით გაჰეურებდა ციცას და თითონაც ისე ხალისიანად მიჰეო ხელი სწავლას, რომ არც კი შეამჩნია, სადილობამდის დროს როგორ გაირბინა.—ამ გვარ სწავლაში, დრო გამოშვებით ნუცა და ხატაური დარბოდნენ ბაღში და ბოლოს დროს როცა დედამ წაუკითხა ნუცას არაკი, ფისოს ჩაჰსთვლიმა და დაეძინა. ნუცამ უამბო დედას რაც გაიგო იმ არაკიდამ და როცა დედამ უთხრა: სადღეი-

F 507/2

FS 931

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოთ საკმაოდ ვისწავლეთო, მარტო მაშინ შეამჩნია, რომ სატაურს ეძინა.

— აი, შე ზარმაცო, მე კი შენ გაქებდი დედასთან, ეუბნებოდა ნუცა ციცას და აწვალებდა მძინარეს,—არა, როგორ დაიძინე და მაგისთანა არაკს არ დაუგდე ყური?..

კატა გაჯავრდა, დაიწყო ფრუტუნი, კნავილი, წამოსტა და კუთხეში მიიმალა.

ეს იყო ამათი პირველი ჩხუბი, მაგრამ შერიგდნენ, ნუცამ მოაბა მაფი ქაღალდის ნაჭერს და დაიწყეს ერთად ოთახში სირბილი. სატაური ისე შეეჩვია ნუცას, რომ რა კი ნუცა აიღებდა ხელში კალამსა და ქაღალდს, თითონაც მაშინვე ახტებოდა სტოლზე. სან-დისან, როცა ნუცა ბეჯითად სწერდა, სატაურიც თვალს ადევნებდა და თათებს უსვამდა იმის კალამს.

— ნუცაჯან, შენი მეგობარი გშველის წერას, ეუბნებოდა სიცილით დედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამ-სალამობით ნუცა აიღებდა წიგნს და დაუწყებდა ხატაურს სწავლებას.

— აი, უეურე, ჩემო ციცო, ესა სწერია: დედა, აი ეს-ნუცა, ეს კი-მართა.

ხატაური თვალს ადევნებდა იმის თითებს და სუნავდა წიგნს.

— აბა ეხლა ეური დამიგდე, ვიამბო რაც დედამ წაკვიკითხა, სახვალიოდ უნდა ვიცოდეთ, დედა ვკითხამს...

ხატაური ეურს უგდებდა არაკებსაც და წიგნის კითხვასაც. ნუცა ძალიან სწუხდა, რომ არ იცის კატების ენა, თორემ ხატაური უეჭველია იმის კითხვაზედ პასუხებს მისცემდა: ის იმისთანა ჭკვიანია... ოღონდ ეს არის, რომ მარტო ლაპარაკი არ შეუძლიან.

ხატაურს სხვა ბევრი საქმეცა ჰქონდა: ნუცა ასწავლიდა იმას უკანა ფეხებზე დგომას, მკლავზე გადახტომას, ჯოხით უარაულად დგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას... როცა უძახდნენ, თავს მოიმკდარუნებდა და ისევ გაცოცხლდებოდა ხოლმე. ნუცა აჩვენებდა ტიკინის კოლიასკის ტარებას. ხატაურს ძალიან არ მოსწონდა ამ გვარი სწავლა და ცდილობდა თავი მოერიდებინა; მაგრამ ნუცა არ ანებივრებდა იმას, გულ-მოდგინედ დაეძებდა სუფველა კუთხეებში და რა კი იპოვიდა, არცხვენდა და დასჯიდა იმითი, რომ ჯოხით კუთხეში დააყენებდა.

სამი კვირის შემდეგ ხატაურმა იცოდა უკანა ფეხებზე დგომაც, მკლავზე გადახტომაც; ხანდისხან კი ეურს არ უგდებდა, როცა ნუცა უბძანებდა: „მოკვდიო“ და უკმაოფილოდ ეურებს აბარტეუნებდა და კუდს აქნევდა.

— სრულებით, სრულებით მოკვდი, უბძანებდა ნუცა,—კუდხ რადათა სძრავ, თუ კი მოკვდი...!

ხატაური მობეზრებული, წამოხტებოდა და გაექცეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი, შვილო, ეტეოდა დედა,—ხომ სუფველაფერი აასრულა, რაც უბძანე, მაგაზე ძეტი აღარ მოეთხოვება.

რა შეემთხვა ხატაურს.

Ცხარე მკათათვის დღეა. მზე ისე სწვავს, რომ ბუზებიც კი ჩრდილოში კედელს მიჭკვრიან; ჰირუტუვებზე და ადამიანებზე ხომ რაღა ითქმის! ეზოს დიდი მაღლი შემშვრალა თავის ქოხში, ენა გამოუგდია და საშინლად ქაქანებს: ეტეობა ხშირი ბალანი აწუხებს. სახლის ჰატრონის ფინაც მიწოლილია სიგრილეში სარდაფთან, იქვე მეორე მხარეს, ქოჩორა ქათამი თავის წიწილებით შეჯგუფულან, ძტრედები კრამიტის ქვეშ მოსვენებაში არიან, იხვები დაზანტებულად ცურავენ გუბეში, ტირიფის ხშირ ტოტებ-ქვეშ... სუფველას სცხელია, ძლივსღა სუნთქამენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუცამ თავის გამდლით გასწია სასეირ-
ნოდ მახლობელს ტუეში. ჩვეულებრივ ხატა-
ური ხელში აეკანილი ჰქონდა. ეს კატა ეხლა
კარგა მოზდილია, იმის ჩალის ფერი ბალანი
გამუქებულა და ელვარებს, ისე რომ ზედ წუ-
რბელებივით კარგად მოჩანს იმის მუქი წი-
თელი ზოლები, თვალები განწვანებია და
უბრწყინამენ, დიდრონი შავი ბაიებით, იმის
ბატარა ბირს, გულს, მუცელს და ხელ ფეხს
ხომ მზეზე სულ კაშკაში გააქვს. „ჩემ ციცოს
რა სუფთა საუელო და მაჯები აქვს გაკეთე-
ბული!“ ამბობდა ამაუად ნუცა. ფისოს უელ-
ზე შემოარტყა ცისფერი ლენტი, ის ჯერ კბი-
ლებით ეჭიდებოდა, თავს იქნევდა აქეთ-იქით,
უნდოდა როგორმე მოეხსნა, მერე კი შეეჩვია
და სუფოველ დილით ნუცა უსწორებდა ამ
შეკრულს ლენტს.

— უეურე, ჩემო თინავ, რა ლამაზია ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუა, ამბობდა ნუცა და ხელს უსვამდა თავის ხატაურს.

— რა მეთქმის, შე ცელქო, განებიერებულო, აგრე როგორ გაგისუქებია? ბედნიერ დღეებში შესაწვავად გამოდგება, ხუმრობით უპასუხებდა გამდელი.

— როგორ არა! მე ჩემ ხატაურს არას დროს არ მოვშორდები!.. ჩემო ციცო, ჩემო კარგო! ამბობდა ნუცა და თან თავზე ჰკოცნიდა.

მიუახლოვდნენ ჰატარა ტბეს. თინას წინდა ეჭირა ხელში და შეეფარა ჩრდილში, ხის ქვეშ. ხატაური ძირს ჩამოსვეს, იმან მელასავით დაიწყო ბალახებში სტუნვა. ნუცამ გასწია ხვეისაკენ კალათით და დაიწყო მწიფე მარწყვის კრეფა. უცრად შემოესმათ ემაწვილების ხმა, უცრად ბუჩქიდამ გამოჩნდა ორი ემაწვილი ვებერთელა ძაღლით. იმათ ვერ დაინახეს ვერც გამდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვერც ნუცა. ამ დროს ფისუა გადახტა ბალახში.

— აჰა! უეურე ჰეტო, ხედავ რადაცა ჰი-
რუტეეს...

— სად არი?

— აი, აი, ბალახში, მელაა, თუ თრი-
თინა....

— თრითინა კი არა, ეგ კატაა...

— ტრეხორ, ტრეხორ! ,,კატაა, კატა, დაიჭი!... უბძანა უმცროსმა ქერა ემაწვილმა.

ტრეხორკა იმ წუთასვე გამოუდგა ხატა-
ურს და ორნივე მიიმალნენ ხშირ ბალახებში, ემაწვილებმა დაიწყეს სიცილი.

— აი, ნადირობა ამ ნაირი უნდა! წამო-
იმასა უფროსმა ემაწვილმა ჰეტომ.

ერთს წუთს ნუცამ შიშისაგან ხმა ვერ
ამოიღო ჰატარა კალათა ხელიდამ გავარდა, მაგრამ ნუცამ თითქო არც კი შეამჩნია,—ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავდა მხოლოდ რომ ხატაური, იმის ძვირ-ფასი ხატაური, გაჭრა და ვინ იცის იქნება მაღლმა კიდეც დაგლიჯა!.. ნუცა ერთ წამს, თითქო გაქვავებული, უძრავად იდგა.

მაკრამ მერე ნალველი, წყენა და უსამარ-თლობა ისე მოერია ნუცას, რომ თუმცა სუფოველთვის მორცხვი და მშვიდობიანი იყო, ეხლა კი მზა იყო, მიყარდნოდა ყმაწვილებს....

ნუცა მსწრაფლად გამოვიდა ბუჩქიდამ გაწითლებული, ბრწყინვალე თვალებით და თამამად მიუახლოვდა იმათ.

— შე, ბორბოტო!—შეუძახა ნუცამ და მი-უახლოვდა უმცროსს ყმაწვილს... შე, ბორბ-ტო ყმაწვილო! გაიმეორა უფრო ხმა მაღლივ და ცრემლები გადმოსცვივდნენ თვალებიდამ.

ყმაწვილი ერთ წუთს გონებაზე ვერ მო-ვიდა—დააჭვიტა თავისი ლამაზი ჭრიდა თვა-ლები, გაკვირვებით დაადო ჰირი და ცოტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან დაიწია, მაგრამ როცა მიხვდა, რომ იმას ლანძღვენ, გაცხარდა და ფეხები დაატეკეპუნა.

— შენ რა ნება გაქვს, რომ აგრე ილანძღები?—დაუყვირა იმან... მე შენ არც გიცნობ და არც მინდა შენთან ლაპარაკი!

ამ დროს თინაც მოუახლოვდა ამათ.— ბებრისთვის ძნელი იყო ალაგიდამ წამოდგომა და ამასთანავე წინდის ძაფიც დაეხვლანკა, ამიტომაც დაიგვიანა, მაგრამ შორიდანვე დაინახა ეს ამბავი.

—აი, თქვე მეშფოთრებო, თქვენა!.. როგორა ჭბედავთ და სხვის კატას სდევნით? დამაცა, პასუხს გაგცემთ; მე ხომ ვიცი ვისი სახლობიდამაცა ხართ....

ეშაწვილი ჩაჩუმდა, მაგრამ იმის ამსანაგმა, პეტრომ გაიღიმა და, წკეპლის აქნევით, გადაჭხედა თინას თავიდამ ფეხამდის.

—შენ ვიდა ხარ, ბებერო, რომ სხვის საქმეში ერევი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ თუ სხვის საქმეში? ეს არის სხვისი საქმე? თქვენ ჩემ გაზდილს აწუენინოთ, იმის კატას სდიოთ და მე კი გიეურეთ და სმა არ ამოვიღო. აი თქვე, ლაწირაკებო, თქვენა!.. ეხლავე ავიღებ ამ წნელს და ისე მიეებეკამთ, რომ თქვენცა თქვათ, რა დაგვემართაო!... დამაცვათ მე თქვენ, დამაცვათ...

ბებერი გაბრაზებული სულს ძლივსღა იბრუნებდა, ემაწვილები კი ხარხარებდნენ და აჯავრებდენ მას... ნუცამ დაინახა, რომ უმცროსმა მუშტი მოიღერა და უფროსმა დაცინვით ზურგი მიუშვირა ამათ. ნუცა ეხლა აღარა ტირდა, მოჭიდა თავის გამდელს ხელი და უთხრა:

— ჩემო კარგო, თინავ, ვეძებოთ ხატაური, დავანებოთ ამათ თავი, ხომ ჭხედავ რა ბოროტები არიან... და ისე მედიდურად და ამაუად გაუარა იმათ გვერდით, რომ ისინი, ცოტა არ იყოს, შეკრთნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰეტომ დაუსტვინა და ტრეზორი საიდანღაც გაჩნდა, მაგრამ ხატაური არსად იყო. ყმაწვილებმა გასწიეს თავის გზაზე, ნუცა კი ჩასცქეროდა სუფელა ბუჩქს, უყვიროდა ფისუას, უძახდა სუფელა ალერსიან სახლებს, მაგრამ სულ ამაო იყო. ხატაური არა ჩნდა... დაიღუჰა!...

— თინაჯან რა უყოთ ეხლა, სად ვეძებოთ? ჰკითხავდა ნუცა.

— სადღა უნდა ვეძებოთ! ხომ ხედავ, არსად არ არი. . წავიდეთ სახლში, იქნება თითონ მოვიდეს.

ნუცამ ერთი ორჯერ კიდევ დაუძახა ციცას და ბოლოს გასწია შინ, იმ იმედით, რომ იქნება დედამ რამე მირჩიოსო.

თვალ-ცრემლიანი ნუცა წენარად შემოვიდა ბაღში და უცბად, რა დაინახა! სიხარულით არ იცოდა რა ექნა, როცა თითონ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაური ხტუნვით მოეგება ზედ გზაზე! ნუცას არც კი სჯეროდა, რომ ეს იმის ცოცხ იყო.

— დედაჯან! ერთი მითხარი, ჩემი ცოცხ როგორ გაჩნდა შინ? ჰკითხა გაოცებულმა ნუცამ თავის დედას.

— შენ კი გეგონა დაიკარგაო? ნახევარი საათიც არის, რაც აქ მოირბინა საშინლად აბურძგნულმა და ჰირდაპირ ფანჯრიდამ კალთაში ჩამიხტა.

— ფისუავ, ჩემო კარგო, ჭკვიანო! ამბობდა ნუცა, გულზე იკრავდა იმას, უკოცნიდა ჰირისახეს, ჰატარა ყურებს, ხელფეხს და სიხარულით ძლივ-ძლიობით უამბო დედას თავიანთი თავზე გადასავალი.

— ეგ ვინ ემაწვილები ეოფილან, თინა? შენ იმათ იცნობ? ჰკითხა ანნამ.

— ეგენი, აქ მეზობლად რომ თავადები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგანან, იმათნი არიან. საშინელი ცელქები ყოფილან... ღმერთმა დაიფაროს იმათგან ყველა ადამიანი!

— მართლა? წარმოსთქვა ანნამ... რა მეწყინა!.. მაგათ დედას უქებენ.

ხატური დაიკარგა.

რამდენიმე დღე ნუცა თავის ფისუათი აღარ გამოდიოდა სასეირნოდ. როცა გამდელი სთხოვდა—წავიდეთ სადმეო, ის უგულოდ უპასუხებდა ხოლმე:

— აქ რაღა გვიჭირს, ჩემო თინავ, იქ, ვინ იცის, იქნება კიდევ გაგაჯავრონ ჩემი ხატური. ღობესთან ასლო, მოსწორებულ ადგილს, ჩვეულებრივ სწავლობდა უკანა ფეხებზე დგომას, მოკდომას და გაცოცხლებას. ნუცა ისე კართული იყო თავის შეგირდებით, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერცხ კი შეამჩნია, თუ როგორ მოუახლოვ-
დნენ ჰეტო და სანდრო ღობეს და იქიდან
ჩუმად იყურებოდნენ. უეცრად ნუცამ მოიხედა
და ისინი დაინახა. იმათ დაიწყეს სარხარი და
გაიქცნენ, ამან კი სტაცა სატაურს ხელი და
ტირილით გაექანა დედასთან საჩივლელად,
რომ ის ეშაწვილები კიდევ მოვიდნენო ამის
სატაურის სანახავად.

— ჩვენ არ შეგვიძლიან, ნუცაჯან, აუკ-
რძალოთ იმათ სიარული ქუჩაში, ბაღის ღო-
ბესთან; დედასთან კი დაბეზღება არ მინდა,
დიდად ეწყინება და ან ჩვენ როგორ დავაშ-
ლევინებთ ცელქობას. ნუ ტირი, ჭკვიანად
იყავ და თუ კიდევ მოვიდნენ, შენ მოეცალე.

დედისთვის ადვილი სათქმელი იყო:
„ჭკვიანად იყავ“. ნუცა კი გრძნობდა უსაქა-
რთლოებას და ვერ გაეგო, რატომ არ შეიძ-
ლება აუკრძალონ იმ ეშაწვილებს ღობესთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიარული, რომ თავი დაანებონ ამის სატა-
ტაურს.

თითონ რომ დაუჯერებდა ხოლმე დედას,
როცა უბძანებდა: აგრე ნუ იქცევიო, ისინი
რატომ ალარ უჯერებენ?

ნუცამ დაიწყო თამაშობა ღობის მოშო-
რებით, ბალის მეორე კუნჭულში. ის ჭხედავ-
და, რომ დღეში რავდენჯერმე უმაწვილები გა-
ივლიდნენ წინ და უკან და ღობიდამ გამოი-
ხედამდნენ.

— თვალითაც ვეღარა ნახავთ ჩემს სატა-
ურს, ფიქრობდა ნუცა და კალთას აფარებდა
კატას.

— უფურე, უფურე, სანდრო, ჰატარა ქალს
ეშინიან, რომ კატა არ წავართვათ. ხედავ,
კალთის ქვეშ, როგორ ჭმალამს.

ნუცას სწეინდა კიდეც და რცხვენოდა კი-
დეც. უმაწვილები თითებს იშვერდნენ ამის მხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს და დასცინოდნენ: აღარ იცოდა სად წასულიყო, აღარც ბაღში გამოდიოდა, აღარც სასეირნოდ მიდიოდა,—სულ ოთახში იჯდა. ხატაურს არ მოსწონდა ეს ახალი წესი, წამდა-უწუმ გადახტებოდა ფანჯრიდამ ბაღში და იქიდამ კნავილით უძახდა ნუცას.

— ნუ მიდიხარ იქ, ციცოჯან, ჩასძახოდა ნუცა, იქ ბოროტი უმაწვილები არიან, ტრეზორკაც იქ არი, დარჩი ოთახში!

ხატაურს არა გაეგებოდა რა ამ დარიგებისა და თავს ანებებდა თავის მეგობარს. ცოტ-ცოტაობით შეეჩვია მარტო სიარულს და ნუცასაც მეტი ღონე არა ჰქონდა, ხანდისხან თავს ანებებდა.

— რა უშავს, ნუცაჯან, ანუგეშებდა დედა,—ის ეხლა დიდია, თითონვე გზას იპოვის.

ერთხელ, დილით, გავიდა ხატაური ბაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში და აღარ შემოვიდა. ნუცა უცდიდა საუს-
მის დროსაც, სადილზედაც, ჩაის დროსაც,
გამოდიოდა, უძახდა, ქუჩაშიაც გამოიხედა,
მახლობლად ტუეშიაც წავიდა საძებნელად, მა-
გრამ ხატაური არსად არა ჩნდა... გაიარა კი-
დევ ერთმა დღემ და ხატაური კი მაინც არ-
სად იყო. ნუცა ძალიან სწუხდა, ჰირში ლუკ-
მას არ იდებდა.

— კარგი, გეყოფა მაგდენი ნაღვლობა,
ნუცაჯან, ღირს რომ კატისთვის აგრე ინა-
ღვლო? ანუგეშებდა დედა... იქნება თითონვე
მოვიდეს, თორემ ახლის შოვნაც ადვილია, გა-
ნა ცოტა კატებია?

— მე სხვა კატა არ მინდა, ამბობდა ჩუ-
მად, ნუცა, თავს ძირსა ჰლუნავდა და თვა-
ლები ემსებოდა ცრემლებით,— იმისთანას რო-
გორიც ჩემი ფისია, ვეღარ ვიშოვი... საწყა-
ლო, ჩემო ცისკო, უეჭველია ტრესორკა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგდებდა სადმე! და ტირილით გულში ჩაეკრა დედას.

ანნა, დაფიქრებული, თავზე ხელს უსვამდა ნუცას და არ იცოდა როგორ გაერთო... თინამაც ერთხელ-ორჯერ მოიწმინდა ცრემლები ნუცას მორიდებითა. თინა მალ-მალ გარბოდა ეზოში, ბაღში აქოთებდა ყველა კუთხეებს და ბოლოს, სადილს უკან, სადღაც გაქრა.

— ბებერი უეჭველია კატის საძებნელად წავიდა, სთქვა საჭმლის გამკეთებელმა დედაკაცმა: მანამ არ იპოვის, ის აქ აღარ მოვა...

ნუცამ არ იცოდა რა ექნა: სუფველაფერი თავის სატაურს აგონებდა, სწავლა აღარ შესდიოდა თავში—დედამაც თავი დაანება: სახვალიოდ გადავდოთ სწავლაო. ნაღვლიანი ნუცა მიუჯდა ფანჯარას, და ამ დროს გამდელი, წამოწითლებული სიცხისაგან, ოთახში შემოვარდა ქაქანით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ხომ ვიცოდი, ქალბატონო, ხომ ვიცოდი, რომ ეგ იმათი საქმე იქნებოდა, სხვისა არაფისი...

— რა ამბავია, გამდელო, გამაგებინე რიგიანად?

— აი, კატაზე ვამბობ... ხომ იმათ, იმათ მოუტანიათ...

— ვინ იმათ?

— ვინ იმათ, და მეზობლის ყმაწვილებს! იმ ლაწირაკებს! კაი დღე დავაყენე იმათ მოსამსახურეებს—ერთი ალიაქოთი შაუყენე: მომეცით მეთქი ჩემი კატა, ჩემი გაზდილი სწუსს მეთქი, თითონ ქალბატონთან მიმიყვანეთ, მინდა ისა ვნახო მეთქი!.. იმათ დაიწყეს სიცილი და მითხრეს: ვერ მოგართგით, ბებერო!.. ღმერთო ჩემო! ვინ გინდა, რომ იმათ არ შეუერიათ მოსამსახურეებად!...

— სადა ნახე ჩემი სატაური, სადა, ჩემო თინავ? ჩაცივდა გამხიარულებული ნუცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იცი როგორ იყო, სულო? მე მაშინ-ვე ვიფიქრე, რომ ეს იმათი საქმე იქნებოდა, რადგან დიდი ხანი არ არი, რაც ისინი ღობიდამ უცქეროდნენ და ეთამაშებოდნენ სატაურს... მაშინვე მეც იმათას წავედი! იმათი სახლი ვებერთელაა, ქვითკრისაა, მოსამსახურეებსაც ეზოში ცალკე სახლი აქვთ. შევედი თუ არა, ვნახე ერთი ახალგაზდა კოჰწია მოახლე და ხელში სატაური კი ეჭირა და აჯმევდა, ეტუობა იმიტომ შემოეევანა იქ; მეც დაუწყე უჯათობა, ეგ ჩემი კატაა მეთქი! ამათაც მიპასუხეს: ეგ ჩვენი საქმე არ არისო, ვისიც უნდა იყოს, ემაწვილებმა მოიეევანეს და იმათა ჰკითხეო... თითონვე კი იცინოდნენ.— სირცხვილი თქვენი ემაწვილებისთვის მეთქი, რომ სხვის კატებს იჩემებენ... წამიეევანეთ თითონ ქალბატონთან მეთქი! იმათ კი აიღეს და ცხვირ წინ გამოიმისურეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარები და დაგრჩი ცარიელი! .. თქვენ წაბძანდით, ქალბატონო, თქვენ ხომ გაჩვენებენ კნეინას. განა შეიძლება ამისთანა უსამართლობა?...

— ჭო, დედაჯან, ჩემო საუკარელო! გამოიძახა ნუცამ,—წადი გამოიმირთვი ხატაური; ის ხომ ჩემია, განა შეიძლება წამართვან?!

ანნა ცოტა ხანს ჩაფიქრდა.

— კარგი, ნუცა, წავიდეთ ერთად.

ესენი საჩქაროდ მოემზადნენ და გასწიეს მეზობელს თავადებთან.

ავათ-მყოფი უმაწვილი.

ნუცას მალე წარმოუდგა თვალ წინ ვენებერთელა მშვენიერი ქვითკირის სახლი. აქაიქ მიდგმული ჰატარა კოშკები, ბალკონები, თუჯის მოაჯირებით; სუფველა მხრიდამ მოის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდა სუნი ვარდისა, იასამნისა, მისაკისა და ზამბასისა. დიდი ბაღის ბილიკები წითელი ქვიშით იყო მოფენილი. შორიდამ მოჩანდა სარკესავით წმინდა ჰატარა ტბა და ზედ ჰატარ-ჰატარა. ნავები მეორე მხარეს, ზალის წინ, ბაღში, მოსწორებულ ადგილას, გამართული იყო ყმაწვილების საკარჯიშოდ სხვა და სხვა სათამაშოები. ნუცას მოაგონდა არაკებში აწერილი სასახლეები ⁄ ეგონა, რომ ეხლავე გამოეგებება ამას თითონ კნეინა, ისეთი, როგორც არაკებში იყო აწერილი: მშვენიერად მორთული, ოქროთი და თვალ-მარგალიტით შემკული. ნუცა მორცხობდა და თითქო კიდეც ეშინოდა. მსახურმა შეიყვანა ესენი სასტუმრო ოთახში და აქ ამათ წამოუდგა ფეხზე ერთი ხნიერი ქალი, რომელიც არა ფრით იყო განსხვავებული სხვებზე: ეცვა თალხი შალის კაბა (სწორედ როგორიც დედას აქვსო, გაუარა ფიქრში ნუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცას), სადათ შეკერილი და თავზე წამოგდებული ჰქონდა შავი, წმინდად ნაქსოვი თავმოსასვევი.

— უკაცრავად, კნეინავ, რომ შეგაწუხეთ, უთხრა ანნამ და უთხრა რისთვისაც მოსულიეო.

ნუცამ კი დაიწყო სახლის პატრონის სინჯვა: იმას ჰქონდა კეთილი, მაგრამ ძალიან ნაღვლიანი მკრთალი პირის სახე, პატარა ხელები და შეხედულობა რაღაც სევდიანი, ჩაფიქრებული. ოთახი ძალიან მშვენიერად და მდიდრულად იყო მორთული, ნუცას კი თვალში არ მოსდიოდა,—იმას ეჩვენა რომ სახლის ავეჯი მეტად ბევრია და ერთმანერთზე მიერილია, შუა ოთახშიაც კი იყო პატარ-პატარა ტახტები. სუფოველ კუთხეში ედგათ პაწაწა სტოლები, ჩინურის ტიკინებით საგსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ები, პატარა ფანჯრებით, სათამაშო სახლებით და ბევრი სხვა წვრილმანით. მინის შკაფიდამ ჩანდა დიდ-ძალი ვერცხლეულობა, სტოლებზე იდგა ლამპები, ჭერიდამ ჩამოშვებული იყო ბრილის ხომლი. ნუცამ იფიქრა, რომ, აქ სირბილი და თამაშობა არ შეიძლებაო, რო-გორც იმათსა და უყვარდა, რომ აქ ფეხს წამოვკრამ რასმესო...

დედამ გაათავა ლაპარაკი სატაურზე... კნე-ინას ძალიან გაუკვირდა თავის შვილების ცელქობა, როცა გაიგო ეს ამბავი.

— დახე იმათ, მე კი დამარწმუნეს, კატა ქუჩაში ვიპოვეთო!..

ნუცა მოელოდა რომ კნეინა უფრო გა-ჯავრდებოდა თავის შვილებზე, ისიც ეწყინა რომ დედამ გაკვრით უამბო იმათი ცელქობა და იფიქრა: დედამ რიგიანად არ უამბოვო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე სულ სხვანაირად მოუფებოდი ამ აბბავ-
საო... ესლა კი სულ ერთი იყო... კნეინა
დაჭირდა ხატაურის მიცემას და ნუცა სიხა-
რულით ფეხზე ადარ იდგა. მსახურს დაუძა-
ხეს.

— აქ მამგვარეთ ესლავე კატა, უბძანა
სახლის პატრონმა.

მსახური გავიდა, მაგრამ დიდხანს არა
ჩნდა. ბოლოს შემოვიდა, მაგრამ... ხატაური
კი თან არა ჰყვანდა!..

— რაო? ჰკითხა კნეინამ.

— ბატონის ქალი მალიან ტირის, კატას
თავს არ ანებებს, ვერ გავბედე გამომერთვა.

— კნეინა, თქვენცა ეუავთ პატარა ქა-
ლი?

— დიახ... ჩემი საწყალი ავათმეოფი ქა-
ლი, სამი წელიწადია, რაც ვერ დადის,—კუ-
ტად არის ჩავარდნილი... წამოსთქვა ნადვ-
ლიანად სახლის პატრონმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს გაეღო კარები და მოხუცმა გამდელმა შემოაგორგორა ოთახში ჰატარა კალიასკა. ამ კალიასკაში იჯდა ფერ-მიხდილი, გამხდარი, ათი წლის ქალი, ჰატარა სახისა და დიდრონი შავ-თვალებიანი. გძელი, შავი ხუჭუჭი თმა გასწეწოდა და თვალებამდის ჩამოჰფარებოდა; ლოყებზე, ჯერ კიდევ არ შეშრობოდა დიდროვანი ცრემლები და გულზე მიკრული ჰქონდა მძინარე სატაური. ნუცამ შინვე შეამჩნია ამ ემაწვილს ჰატარა, სუსტი ფეხები, რომელნიც უღონოდ იყვნენ ჩამოკიდებულები და სრულებით არ იძროდნენ.

— დედა! დაიძახა ემაწვილმა და იმისი სუსტი ნაავათმყოფარი ხმა ნუცას მაშინვე გულს ეცა,—დედაჯან! ნუ წამართმევთ ამ ფისუას... მე ეს ისე მიყვარს, ისე მართობს ხოლმე! აბასთან მოწყენილი აღარა ვარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეთაყვა დედა, ჩემო საყვარელო, მიეცით რა-
ცა ღირს, მიეიდეთ და ნუ წამართმევთ კი!..

— ჩემო კარგო, ეგ კატა სხვისაა... აი
ამ ბატარა ქალს თითონვე გაუსდია. ვერ გი-
ეიდი, იმიტომ რომ არა ჰქონიდიან... უნდა მივ-
ცეთ.

ავათმყოფმა ემაწვილმა ამოუშვა ქვით-
ქვითი და ერთი ისეთ ნაირად კადაჰხედა
ნუცას დიდრონი შავი თვალებით, რომ ამას
გული დაეთუთქა!.. სატაურმა გაიღვიძა და
გაჰკვირვებით უყურებდა ორივე ემაწვილს;
კნიაჟნა ტიროდა და გულზე იკრავდა კატას;
ნუცა კი იდგა თავ ჩაღუნული ჩუმად და ვე-
რა ჰბედავდა შეეხედნა: ვერც ემაწვილისთვის
და ვერც სატაურისთვის.

— დაუბრუნე კატა, შვილო, ვეეოფა ტი-
რილი, უთხრა დედამ... მერე მოუბრუნდა ან-
ნას და უთხრა: ბოდიშს ვითხოვ თქვენთან!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ქალი ისეთი სუსტია, რომ სუფეველა უბრალო საქმე აშფოთებს ხოლმე... ამასთანავე ძალიან შეეჩვია ამ კატას... არ ვიცი, როგორ გავართო ხოლმე: მთელი დღეები უნდა ოთახში იყოს, სუფველაფერი მოსწყინდა...

გამდელს უნდოდა გამოერთმევა კატა, მაგრამ ემაწყინა ისე ტიროდა და გულზე იკრავდა ცივცას, თითქო კატის გამორთმევით სუფველა ბედნიერებას ჰკარგავდა!

— დამაცა, ერთი კარგა უფურო, ამბობდა ის ტირილით,—ნუ მართმევთ აგრე ჩქარა... ჩემო საფვარელო, დამაცა გავძღე ამის ფურებით...

ნუცას ესმოდა ბატარა ქალის ნალველი... განა თითონაც არა სწუხდა, როცა ხატაურს არა ჭხედავდა ⁄ არც იცოდა ცოცხალი იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მკვდარი; თითონ ხომ კარგა მეოფიც იეო, შეეძლო სირბილიც და თამაშობაც.... ნუცამ ნელ-ნელა თავი აიღო მაღლა, მაგრამ როცა ნახა, რა ნაღვლიანად იეო ავათმეოფი ემანწვილი, რა რიგად ჰკოცნიდა და ეალერსემოდა ხატაურს, როცა გაიგო იმან რომ ჩურჩულით ჰსთქვა: „უკანასკნელად გკოცნიო!“ —„ვეღარ მოუთმინა გულმა და თითონაც აპოუშვა ტირილი, დააგიწედა სუეველაფერი, მიჰვარდა დედას, თავი ჩაიმალა იმის კაბის კალთებში და საჩქაროდ წამოიძახა:

— დედა! აღარ მინდა ფისუა!... დეე, აქ დარჩეს...

ანნას თვალები აემსო ცრემლებით, მიიკრა თავის ქალი გულზე და გადაჰკოცნა. ავათეოძეემა კნიაჟნამ ეჭვით გადაჰხედა ნუცას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს კი ეხლა მობრუნდა და ღიმილით, თუმცა თვალები კი ისევ სავსე ჰქონდა, ცრემლებით, გაიმეორა თავის სიტყვები:

— წაიყვა ჩემი ხატაური, მიჩუქებია შენთვის, მე სირბილიც შამიძლიან, თამაშობაც და შენ კი არა...

ენიაკენას ძალიან გაეხარდა.

— საყვარელო, ჩემო საყვარელო, მოდი ახლო, ერთი კარგა, კარგა გაკოცო, უთხრა ემაწვილმა და თვალები სიხარულით გაუბრწყინდა!..

ნუცა მიუახლოვდა და ემაწვილებმა ერთმანერთს გადაჰკოცნეს.

— იმ ბოროტ ემაწვილებს ნუ კი ჩაუგდებ ხელში, გიყვარდეს, გაუფრთხილდი, კაი რამ არი... მე ეგ ძალიან მიყვარდა,—დაუმატა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადვლიანად ნუცამ და გადუსვა ხელი ხატა-ფრის მშვენიერს ჭრელს ბალანს.

— მე ეგ მეეკარება; ეხლაც ძალიან მი-ყვარს, კარგად მართობს ხოლმე, იცის უკანა ფეხებზედ დგომა.

— ეგ მე ვასწავლე, სთქვა ამაყად ნუ-ცამ... მაგრამ კიდევ ტიკინის კოლიასკის ტარება იცის, მოკდომა და გაცოცხლებაც.

ხატაურს უნდა ეჩვენებინა თავის ხელოვ-ნობა და ემაწვილები ერთმანმრთს მეგობრუ-ლად გამოესალმნენ. უნდა ნუცა მოსულიყო ხოლმე ხატაურის და'ასხედავად. კნეინამ ანნას დიდი მადლობა უთხრა და ნუცას აკოცა.

—რა ჯან მთელია თქვენი ემაწვილი! ჰთქვა ოხვრით კნეინამ და ხელი გადუსვა ნუცას გაწითლებულ ლოყებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თავის ავათმყოფი ემაწვილი თუ მოავონდა და იმიტომ ოხრავს, იფიქრა ნუცამ... მივიდა კნიაზესთან ხელზე საკოცნელად და უთხრა:

— თქვენი ქალიც კარგა შეიქნება მალე, სუყოველთვის ხომ არ ეტკივება ფეხები...

— არა ჩემო კარგო, უპასუხა კნეინამ და კიდევ აკოცა,—ჩემი საწყალი ქალი კარგა არ გასდება, იმას ფეხების სიდამბლე აქვს, უნდა ყოველთვის კოლიასკით იაროს.

„რა საშინელებაა!“ ფიქრობდა ნუცა, როცა ისა და იმისი დედა შინ წამოვიდნენ და მთელი გზა გაიარა ხმა ამოუღებლივ და ნაღვლიანად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი ორი შაური.